13 იანვარი 2014 წ.

ქ. თბილისი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №002

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ: სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი (შემდგომში-შემსყიდველი), მისამართი ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ. წარმოდგენილი ცენტრის ადმინისტრაციული განყოფილების უფროსის გიორგი ეზუგბაიას სახით, რომელიც მოქმედებს ცენტრის დირექტორის 2013 წლის 27 დეკემბრის №160 ბრძანების საფუძველზე,

მეორე მხრივ: შპს სადაზღვევო კომპანია "არდი ჯგუფი" (შემდგომში-მიმწოდებელი), მისამართი ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №48, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის არმაზ თავაძის სახით,

ადასტურებენ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამარტივებული შესყიდვის გზით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ამ ხელშეკრულების თანახმად მიმწოდებელი შემსყიდველის წინაშე იღებს ვალდებულებას, გაუწიოს ავტომანქანა Hyundai Tucson LQL 220-ს დაზღვევის მომსახურება - კლასიფიკატორის **(CPV)** კოდით – 66500000 - სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

2.2 მომსახურების გაწევა ხორციელდება 2014 წლის 14 იანვრიდან 2015 წლის 14 იანვრამდე.

2.3 მომსახურება განხორციელდება და ზიანის ანაზღაურება მოხდება მხარეებს შორის გაფორმებული სადაზღვევო პოლისისა და დაზღვევის პირობების შესაბამისად, რომელიც ხელშეკრულებას თან ერთვის და მისი განუყოფელი ნაწილია.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს 1162,91 (ათას ას სამოცდაორი ლარი და ოთხმოცდათერთმეტი თეთრი) ლარს (სადაზღვევო პრემია).

3.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 –ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი:

4.1.1 გაუწიოს შემსყიდველს შეთანხმებული ხარისხის მომსახურება.

4.1.2 გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

4.1.3 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება.

4.1.4 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი:

4.2.1 ვალდებულია პოლისის შესაბამისად დადგენილ ვადაში აანაზღაუროს მიწოდებული მომსახურების ღირებულება.

4.2.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. სტანდარტები

მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და უნდა იყოს მხარეთა შორის შეთანხმებული ხარისხის.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მიწოდებული მომსახურების ხარისხის პერიოდული კონტროლი.

6.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებიდან 5 (ხუთი) დღეში გამოასწოროს წუნი, ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.3 ამ მუხლით გათვალისწინებული მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

6.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის ადმინისტრაციული განყოფილების შესყიდვების სპეციალისტი ზეიადი ჭელიძე.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებ სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ადმინისტრაციული განყოფილება.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

8.1.1 ანგარიშსწორების ვალუტა ლარი;

8.1.2 ანგარიშსწორების ფორმა უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 გადახდა განხორციელდება პოლისის გამოწერიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ

დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 პუნქტის შესაბამისად.

10. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 და მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0.1% ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1% ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მხარეები იტოვებენ უფლებას, რომ შეწყვიტონ ხელშეკრულება და მოითხოვონ შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 5 დღით ადრე.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2014 წლის 14 იანვრიდან და მოქმედებს 2015 წლის 14 თებერვლამდე.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკულების დამდებ რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში. იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. თითოეულ მხარეს აქვს ამ ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა ანგ №200122900; კოდი: 220101222

საიდენტიფიკაციო კოდი 205296188

გიორგი ეზუგბაია

ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი

მიმწოდებელი:

შპს სადაზღვევო კომპანია "არდი ჯგუფი"

მისამართი ქ. თბილისი, ვ. ფშაველას ქ. №3

საიდენტიფიკაციო კოდი: 404858631

საბანკო რეკვიზიტები: სს "ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი: LBRTGE22, ანგარიშის №GE96LB0113145521535000

არმაზ თავაძე

გენერალური დირექტორი